საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის ხელშეწყობით და გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროექტების განხორციელებით, აგრეთვე პროფესიული განვითარებისკენ მიმართული პროგრამების ორგანიზებით:

სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჩატარდა 117 სასწავლო თუ ტრენინგ კურსი და გადამზადდა 1 614 მონაწილე.

ახალი კადრების შერჩევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელშეწყობა პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირებების ორგანიზებით:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე და შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში ტესტირება ჩაუტარდა 287 კანდიდატს (**18 ტესტირება);**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზებით:

- 2024 წლისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფო შპს-ების ხაზინის მომსახურებაზე გადაყვანასთან დაკავშირებით გადამზადებულია 1 391 მონაწილე.
- შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების მიზნით დაწყებული რეფორმის ფარგლებში გადამზადებულია 58 მონაწილე.

კერძო სექტორის განვითარებისა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული სასწავლო-შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელება:

საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის, კერო სექტორის წარმომადგენლებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის განხორციელდა 85 დასახელების სამუშაო შეხვედრა, საჯარო ლექცია, სასწავლო თუ ტრენინგ კურსი, გადამზადდა ჯამში 5 848 მონაწილე.

<u>პროფესიული ცოდნის დონის ასამაღლებლად, საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებსა და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის,</u>

- ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და DAI გლობალ-ს შორის (რომელიც თავის მხრივ ფინანსდება USAID მიერ) საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში - შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების მიზნით გადამზადებულია 10 მონაწილე;
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) „აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფონდი საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდასაჭერად“ დაფინანსებით, მოლდოვის საჯარო მმართველობის ინსტიტუტის ტრენერებისთვის ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ორგანიზებით, ჩაატარდა ტრენინგი თემაზე: ToT Learning Tools -15 მონაწილე;
- ყაზახეთის სხვადასხვა ბანკების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი „Colvir-ის სისტემის გაცნობა ექსპერტებისთვის“, რომელშიც ჩართული იყო 7 მონაწილე;

- კაპიტალის შეფასების ვალდებულება (CEQ) ფისკალური შემთხვევების დიაგნოსტიკაზე ჩატარდა 13 მონაწილისთვის;
- ევროკავშირის დახმარებით აკადემიაში ჩატარდა სურსათის იმპორტისა და ექსპორტის კონტროლის ელექტრონულ სისტემაში სწავლება 27 მონაწილისათვის;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საჯარო მოხელეებისათვის ჩატარდა ქოუჩინგის ტრენინგის მე6 მოდული 15 მონაწილისათვის ;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად აკადემიაში ჩატარდა 3 კურსი, რომელშიც მონაწილეობდა 69 მონაწილე სხვადასხვა ქვეყნების ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების, სტატისტიკის სამსახურისა და ეროვნული ბანკის თანაშრომლები.
- ქალებისა და კაცების თანამშრომლობა და სინერგია - Deutsche Gesellschaft für Auswärtige Politik (DGAP) და რობერტ ბოშის ფონდის მიერ ჩატარებულ სამუშაო შეხვედრებს ესწრებოდა - 11 მონაწილე.
- ტრენინგი Building Integrity - ჩატარდა ბრიტანეთს საელჩოსა და თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით -14 მონაწილე.
- ტრენინგი- Transfer Pricing - ჩატარდა OECD-ს ორგანიზებით, რომელსაც დაესწრნენ სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციების წარმომადგენლები - 34 მონაწილე.
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და UN Women-ს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში- სასწავლო კურსი „როგორ დავიწყოთ ბიზნესი“ და ტრენინგკურსი საინვესტიციო წინადადების მომზადება ხორციელდება კონფლიქტით დაზარალებულ გამყოფ ზოლთან მცხოვრები ქალებისთვის - 39 მონაწილე.
- Deutsche Gesellschaft für Auswärtige Politik (DGAP) და რობერტ ბოშის ფონდის მიერ ჩატარებული სამუშაო შეხვედრებს ესწრებოდა 11 მონაწილე სხვადასხვა ქვეყნებიდან.
- მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ფინანსთა, ეკონომიკისა და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის - 18 მონაწილე , ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე „თანასწორობის ვალდებულება: ფისკალური პოლიტიკის დისტრიბუციული გავლენა“.კურსი მიზანს წარმოადგენდა სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირება, საქართველოს ფისკალური პოლიტიკის გავლენის ანალიზისა და შეფასების უნარის გაუმჯობსება.
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლეში თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის ჩატრადა ტრენინგი თემაზე: Policy Professional Bootcamp, რომლის მიზანიც იყო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და მასთან დაკავშირებული უნარების განვითარება, ტრენინგს 22 მონაწილე ესწრებოდა.

• სამუშაო შეხვედრა ტემაზე „Making Trainings More Fun and Engaging“ ჩატარდა GIZ-ის პროგრამის ფარგლებში აკადემიის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის და მასში მონაწილეობას იღებდა - 21 მონაწილე.

დასახული საბოლოო შედეგები:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა, საჯარო და კერძო სექტორში

საფინანსო და მომიჯნავე მიმართულებებით დასაქმებულთა და ასევე, ფიზიკური პირების კვალიფიკაცია ამაღლებულია.

2. ფინანსთა სამინისტრო სსისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით.
   ახალი კადრების შერჩევის პროცესში ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია ტესტირების მომსახურებით.
3. ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების დანერგვის მიზნით, შესაბამისი სექტორის წარმომადგენლები უზრუნველყოფილი არიან სასწავლო პროგრამებით/ტრენინგებით.

4. ფიზიკური პირები, საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროექტებით;

5. საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტები

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა, საჯარო და კერძო სექტორში საფინანსო და მომიჯნავე მიმართულებებით დასაქმებულთა და ასევე, ფიზიკური პირების კვალიფიკაცია ამაღლებულია.
2. ფინანსთა სამინისტრო სსისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით.
   ახალი კადრების შერჩევის პროცესში ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია ტესტირების მომსახურებით.
3. ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების დანერგვის მიზნით, შესაბამისი სექტორის წარმომადგენლები უზრუნველყოფილი არიან სასწავლო პროგრამებით/ტრენინგებით.
4. ფიზიკური პირები, საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროექტებით;
5. საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. **ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა**
   საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მომზადება/გადამზადების პროექტებში გათვალისწინებულია 1200 მონაწილე

   მიზნობრივი მაჩვენებელი - 1250 მონაწილე

   ფაქტიური შედეგი - 2024 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1614 თანამშრომელი;

2. **სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული ტესტირებების რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს სისტემის მიერ მოთხოვნილი ტესტირებები სრულად შესრულებულია.
მიზნობრივი მაჩვენებელი - მოთხოვნილი ტესტირებების სრულად შესრულება;
ფაქტიური შედეგი - 100%

3. **ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში გადამზადებული პირების რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები სრულად შესრულებულია.

მიზნობრივი მაჩვენებელი - რეფორმების ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები სრულად შესრულებულია.

ფაქტიური შედეგი - - 1 449 მონაწილე

4. **გადამზადებული დაინტერესებული პირების (მათ შორის, ფიზიკური პირები, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები) რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - გადამზადებული ფიზიკური პირების, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების რაოდენობა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებულია საბიუჯეტო და კერძო სექტორის 3250 წარმომადგენელი;

ფაქტიური შედეგი - - 5 848 მონაწილე.

5. **საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტებში მონაწილეთა რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 400 მონაწილე.

მიზნობრივი მაჩვენებელი - 410 მონაწილე.

ფაქტიური შედეგი - 341 მონაწილე